გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 85

2020 წლის 10 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების (ს/კ 66.45.18.160) ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის 05 ივნისს შემოსულია ქეთევან ბერიკაშვილის (პ/ნ 59001002838) №8886 განცხადება. განცხადებით მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.160 (გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის მიმდებარედ) იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს და საბავშვო მინი ატრაქციონების მოსაწყობად.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტ-ეკონომიქსის" მიერ 2020 წლის 13 მაისს წარმოდგენილი № 29 „აუდიტორული დასკვნა, უძრავი ქონების შეფასების ანგარიშით" მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.160 საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 63 220 (სამოცდასამი ათას ორასოცი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მაისის №48 დადგენილებით, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.160 შეტანილია ქალაქ გორში, გარე ვაჭრობის ნებადართული ადგილების ჩამონათვალში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.160 ფართობით 218,00 კვ.მ. პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8

დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1) საწყისი საპრივატიზებო ფასი გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის ს/კ 66.45.18.160 ფართობით 218,00 კვ.მ. განისაზღვროს 63 220 (სამოცდასამი ათას ორასოცი) ლარით.

2) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3 360 (სამი ათას სამასსამოცი) ლარის ოდენობით.

3) მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემული იქნეს 5 (ხუთი) თვის ვადით, 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

4) აუქციონის პირობებად განისაზღვროს შემდეგი:

ა) განახორციელოს გარე ვაჭრობა გამაგრილებელი სასმელებით, ნაყინით, კვების პროდუქტებით (სანიტარული პირობებით და სასაქონლო-ესთეტიკური იერსახით დაცული).

ბ) უზრუნველყოს ვიდეო კამერების დამონტაჟება.

გ) მიწის ნაკვეთს შემოავლოს ხის დაბალი ღობე.

დ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს სველი წერტილების ფუნქციონირება.

5. მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე